

როგორ ვასწავლოთ ევროკავშირი

(სასწავლო სახელმძღვანელო ლექტორებისთვის)

HOW TO TEACH THE EU (Teaching Material for Lecturers)

ეკატერინე ქარდავა / Ekaterine Kardava
გურანდა ჭელიძე / Guranda Tchelidze



With the support of the
Erasmus+ Programme
of the European Union



კავკასიის საბაკალავრო სკოლა
CAUCASUS SCHOOL OF LAW



სამართლის პროგრამების
ევროპეიზაცია
Europeanisation of
LAW Programs



როგორ ვასწავლოთ ევროკავშირი

(სასწავლო სახელმძღვანელო ლექტორებისთვის)

HOW TO TEACH THE EU (Teaching Material for Lecturers)

ავტორები/Authors:

ეკატერინე ქარდავა / Ekaterine KARDAVA

გურანდა ჭელიძე / Guranda TCHELIDZE

ერასმუს+ ჟან მონეს მოდული „სამართლის პროგრამების
ევროპეიზაცია საქართველოში“

Erasmus+ Jean Monnet Module “Europeanisation of Law Programs in
Georgia” (EU-LP-GE)

101084764 — EU-LP-GE

სახელმძღვანელო ქვეყნდება ერასმუს+ ჟან მონეს მოდულის ფარგლებში „სამართლის პროგრამების ევროპეიზაცია საქართველოში“ (101084764 – EU-LP-GE). მოდულს ახორციელებს კავკასიის უნივერსიტეტი.

The Teaching Material is published within the framework of the Erasmus+ Jean Monnet Module “Europeanisation of Law Programs in Georgia” (101084764 – EU-LP-GE). Module is implemented by the Caucasus University.

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, თუმცა გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორ(ებ)ს და არ ასახავს ევროკავშირის ან ევროპული განათლებისა და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს (EACEA) შეხედულებებს. არც ევროკავშირი და არც EACEA არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი მათზე.

Funded by the European Union. Views and opinions expressed are however those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union or the European Education and Culture Executive Agency (EACEA). Neither the European Union nor EACEA can be held responsible for them.

- **ეკატერინე ქარდავა**, სამართლის დოქტორი, ჟან მონეს პროფესორი; ჟან მონეს მოდულის ავტორი და კოორდინატორი კავკასიის უნივერსიტეტში; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; ჟან მონეს კათედრის ხელმძღვანელი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში; ლექტორი კავკასიის უნივერსიტეტში.
- **Ekaterine KARDAVA**, Dr. of Law, Jean Monnet Professor; author and coordinator of the Jean Monnet Module “EU-LP-GE” at the CU; Professor of the Gori State University; Jean Monnet Chair Coordinator at the Gori State University; Lecturer at the CU.
- **გურანდა ჭელიძე**, ისტორიის დოქტორი, ჟან მონეს პროფესორი, ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში; ჟან მონეს კათედრის ხელმძღვანელი კავკასიის უნივერსიტეტში.
- **Guranda TCHELIDZE**, Dr. of History, Jean Monnet Professor; Academic Director of the Bachelor Educational Program “European Studies” at the School of Humanities and Social Sciences of the Caucasus University; Jean Monnet Chair Coordinator at the CU.

კორექტორი/Corrector:

ელისაბედ მაჩიტაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორი.

Elisabed MACHITIDZE, Dr. of History, Professor of the School of Humanities and Social Sciences of the CU.

გამომცემლობა/Publisher: კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი, ოქტომბერი, 2024. **Caucasus University**, Tbilisi, October, 2024.

ISBN: 978-9941-9888-8-2

სარჩევნი

| | |
|--|----|
| წინასიტყვაობა | 6 |
| 1. რატომ უნდა ისწავლებოდეს ევროკავშირი საქართველოს ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში. | 8 |
| 2. რა არის და როგორია ევროკავშირი – ზოგიერთი მნიშვნელოვანი შტრიხი. | 11 |
| 2.1. დაფუძნება, გაფართოება, ერთიანობა და მრავალფეროვნება | 11 |
| 2.2. ევროკავშირში განევრების კოპენჰაგენის კრიტერიუმები და დემოგრაფია | 12 |
| 2.3. მშვიდობა | 13 |
| 2.4. ინსტიტუტები | 17 |
| 2.5. თავისუფლება. | 17 |
| 3. რომელ სფეროებში იღებს ევროკავშირი სავალდებულო ხასიათის საკანონმდებლო აქტებს | 20 |
| 4. როგორია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების ისტორიული დინამიკა | 21 |
| 5. სად მოეძებნოთ ევროკავშირზე ოფიციალური ინფორმაცია | 26 |
| 5.1. პირველადი სამართალი | 26 |
| 5.2. მეორეული სამართალი | 27 |
| 5.3. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო გადანყვეტილებები | 28 |
| 5.4. ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტების და თემატური საძიებო ინტერნეტ-გვერდები | 29 |

| | |
|--|----|
| 6. ძირითადი შეთანხმებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის | 32 |
| 7. ევროკავშირის მხრიდან საქართველოს შეფასების დოკუმენტები | 36 |
| 8. ზოგიერთი სწორი ტერმინი ევროკავშირის შესახებ სწავლებისას | 39 |
| 9. ქართველი მეცნიერების ზოგიერთი ნაშრომები ევროკავშირისა და ევროპული ინტეგრაციის შესახებ | 46 |

წინასიტყვაობა

საქართველოში დიდი ხანია უმაღლესი სასწავლებლების გარკვეული საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს ევროკავშირზე, ევროპულ ინტეგრაციაზე, ასოცირების შეთანხმებაზე, ევროკავშირის სამართალზე, სამართლებრივ აპროქსიმაციაზე სწავლებას. მიუხედავად ამისა, მწირია სიღრმისეული და აკადემიური ცოდნა ამ სფეროში; **სწავლება, ძირითადად, ინტეგრირებულია ევროპისმცოდნეობის პროგრამის ფარგლებში.**

ყან მონეს მოდული „სამართლის პროგრამების ევროპეიზაცია საქართველოში“ (EU-LP-GE) შემუშავდა და საკონკურსოდ ევროპულ კომისიაში (შემდგომში ევროკომისიაში) წარსდგა იმ მიზნით, რომ საქართველოში ახალი და ინოვაციური ხედვით დაიწყოს ევროპული სწავლების მიმართულების გაძლიერება სამართლის საგანმანათლებლო პროგრამებში. ახალი ხედვა სწავლების მეთოდისა და ფორმის მიმართ, გულისხმობს სწავლების ახალ შინაარსსაც. ეს არ უნდა იყოს სწავლება მხოლოდ ევროკავშირის სამართალზე, მხოლოდ ევროკავშირის ინსტიტუტებზე, ზოგადად, მხოლოდ ევროკავშირზე, არამედ ეს უნდა იყოს სწავლება – როგორ ზემოქმედებს და რა გავლენას ახდენს ევროკავშირის სამართალი და პოლიტიკა საქართველოს სამართლისა და პოლიტიკის განვითარებაზე. აღნიშნულ საკითხს კი სჭირდება საკითხების ფართო სპექტრის ცოდნა, კერძოდ: რა არის სამართლებრივი აპროქსიმაცია, მათ შორის, დინამიური და ეტაპობრივი; რა არის სამართლებრივი აპროქსიმაციის მონიტორინგი; რა არის სამართლებრივი აპროქსიმაციის სტადიები (3 ძირითადი ეტაპი); რა არის შესაბამისობის ცხრილი (რამდენი, რა დანიშნულებით, რა სფეროში, რატომ); რა არის ევროკავშირის სამართალსა და პოლიტიკასთან დაახლოების ლოგიკა (პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, სექტორალური); რა მეთოდებს იყენებს საქართველო ევროკავშირის კანონებთან დაახლოებისას (განსხვავებული მეთოდები დირექტივებთან დაახლოებისას, რეგლამენტებთან დაახლოებისას); დასაშვებია თუ არა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადანყვეტილებების მოხმობა საქართველოს სამოსამართლო სამართალში; როგორ განვმარტოთ

და გამოვიყენოთ საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი საქართველოს მხრიდან საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების პროცესში; რა ორგანოებია ჩამოყალიბებული და როგორია კოორდინაციის სისტემა ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის აღსრულების სფეროში (რატომ არის ძირითადი პასუხისმგებელი აღმასრულებელი ხელისუფლება); როგორია საკანონმდებლო პროცესის სპეციფიკა ევროკავშირთან დაახლოების სფეროში; და სხვა.

ზემოაღნიშნული საკითხებისგან, ჟან მონეს მოდულის ფარგლებში შეიქმნა და დაიხვეწა სპეციალური სასწავლო კურსი/სასწავლო დისციპლინა სამართლის სამაგისტრო პროგრამისთვის. თუმცა ეს არ არის საკმარისი ევროპული სწავლების გაფართოებისთვის. არსებითად მნიშვნელოვანია:

- ეტაპობრივად ყველა სასწავლო პროგრამაში ინტეგრირებულ იქნას ევროპული სწავლების საგანი/სასწავლო დისციპლინა;
- ეტაპობრივად ყველა (შესაბამის) სასწავლო დისციპლინაში ინტეგრირებულ იქნას ევროპულ სტანდარტებზე აქცენტირება და შედარებითი სწავლება.

რა თქმა უნდა, მიზანი და სურვილი დიდია, თუმცა **ევროკავშირის, სამართლებრივი აპროქსიმაციისა და ევროპული ინტეგრაციის საქართველოს სამართალსა და პოლიტიკაზე ზეგავლენის ასპექტების მცოდნენი (ასეთი პროფესიული, კვლევითი, სამეცნიერო, პრაქტიკული გამოცდილებითა და კომპეტენციით)** საქართველოში არც თუ ისე ბევრია. თანამედროვე სწავლება და მეცნიერება, აკადემიური პერსონალისგან, პედაგოგებისგან, მასწავლებლებისგან, პროფესორებისგან, მეცნიერებისგან მნიშვნელოვნად ითხოვს ახალი ცოდნისა და უნარების დაუფლებას ან განვითარებას. ამ მიზნით, ჟან მონეს მოდულის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნა, სპეციალური ტრენინგი აკადემიური პერსონალისთვის. **ამავდროულად, მოდულის ფარგლებში გადამწყდა სპეციალური მინი-სახელმძღვანელოს შემუშავება „როგორ ვასწავლოთ ევროკავშირი“**. ეს სახელმძღვანელო დაეხმარება ნებისმიერ პირს, სპეციალისტს, მასწავლებელს, პროფესორს გამოიყენოს იგი საკუთარი კურიკულუმისა და სასწავლო დისციპლინის ფარგლებში, სასწავლო კურსის გაძლიერებისა და თვითგანვითარებისთვის.

1. რატომ უნდა ისწავლებოდეს ევროკავშირი საქართველოს ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში

ევროპული ინტეგრაციის ფუნდამენტურ საფუძველს, ევროპის ხალხთა სოციო-კულტურული სიახლოვე წარმოადგენს. შუასაუკუნოვანი ევროპიდან მოყოლებული, ეს სივრცე წარმოადგენდა კულტურულ ერთიანობას, რომელსაც ლათინურ დამწერლობასთან ერთად ქრისტიანული რელიგია აერთიანებდა. საქართველო საუკუნეთა განმავლობაში ევროპულ ცივილიზაციას ეზიარებოდა და თავისი პოლიტიკური მზერა ევროპისკენ ჰქონდა მიმართული. ეს დიდწილად ქრისტიანობის დამსახურებაც არის.

საქართველო მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ქვეყანაა, ის ისტორიულად არის ევროპის ნაწილი და ბუნებრივად მიიღტვის ევროპისა და ევროკავშირისკენ, **სადაც ხელშეუხებელია** ეროვნული იდენტობა, ადამიანის უფლებები და ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა, კანონის უზენაესობა, მშვიდობიანი თანაარსებობა, სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა, ხალხებს შორის სოლიდარობა და ურთიერთპატივისცემა, თავისუფალი და სამართლიანი ვაჭრობა, სიღარიბის აღმოფხვრა. **საქართველოსა და რომში, პირველი საუკუნიდან, იწყება ქრისტიანული ეკლესიების მშენებლობა, ქრისტიანობის რელიგიად მიღება და გავრცელება. იმ დროიდან მოყოლებული (მიუხედავად ქრისტიანობის დასაგმობად და ქვეყნის/ერის დასაპყრობად მიმართული სასტიკი ომებისა, რაც აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ხდებოდა) საქართველომ დღემდე უერთგულა არჩეულ რწმენას, ფასეულობებსა და განვითარების კურსს.**

გარდა ზემოხსენებულისა, რომლის მიხედვით საქართველო და ევროპა, ისტორიული განვითარების კონტექსტში, ბუნებრივ ერთიანობად წარმოგვიდგება, **უახლეს ისტორიაში, საბჭოთა იმპერიალიზმისგან დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, საქართველომ მიმართა ევროკავშირს მხარდაჭერისა და დახ-**

მარებისთვის. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება ევროპული ინტეგრაციის ახალი ისტორია, ხოლო 21-ე საუკუნეში საქართველოს კონსტიტუციაში გაინერა ქართველი ერის სულის, გულისა და გონის ამსახველი ნება:

„კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლება-მოვალეობის ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.“

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაიდო მრავალი შეთანხმება (ხელშეკრულება). ეს ნებაყოფლობითი პროცესი იყო. რა თქმა უნდა, ხელშეკრულება და დადებული პირობა უნდა შესრულდეს. ამ შეთანხმებებში კი საქართველოს აღიარებული აქვს რეფორმირების ვალდებულება (საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა პრობლემებისგან, კორუფციისგან, არადემოკრატიული მიმართულებისა და სხვა გამოწვევებისგან ეტაპობრივად დაშორებისა და ახალ სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გარდაქმნის ვალდებულება).

ევროკავშირი 73 წელია ფუნქციონირებს. იგი ძალიან ნელა და იშვიათად ფართოვდება. ევროკავშირს არ ახასიათებს მეზობელი ქვეყნების ძალდატანებით განევრება. პირიქით, ევროკავშირს თავად მიმართავენ ქვეყნები განევრებისთვის. საქართველომ 2022 წლის 3 მარტს ოფიციალურად მიმართა ევროკავშირს განევრებისთვის. ევროკავშირმა განიხილა საქართველოს განაცხადი და 4 თვეში საქართველოს მიანიჭა ევროპული პერსპექტივა, ხოლო ერთ წელიწადში საქართველო ევროკავშირის გაფართოების პაკეტში მოაქცია დანარჩენ 9 ქვეყანასთან ერთად. ბალკანეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებიც დიდი ხანია ელოდებოდნენ გაფართოების ახალ ტალღას, საქართველომ ძალიან მალე მიიღო ევროკავშირში განევრების შესაძლებლობა. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა იმ 10 ქვეყანას შორის, რომელიც ზღვივთ გამიჯნულია ევროპული სახელმწიფოებისგან და არ აქვს მათთან სახმელეთო საზღვარი.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები დაფუძნებულია ღირებულებებზე. ევროკავშირი გვერდით დაუდგა საქართველოს ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეებში. **მას შემდეგ ჩვენს შორის არის ნდობა, პარტნიორობა და ურთიერთვალდებულებებიც.** ჩვენ გვსურს, რომ ვიყოთ ევროკავშირის წევრი – მშვიდობის, სოციალური კეთილდღეობის, დასაქმების, უსაფრთხოებისა და უვნებლობის სტანდარტების ოჯახში; ევროკავშირს კი სურს, საქართველოს სახით ჰყავდეს სტაბილური და დემოკრატიული პარტნიორი, ადამიანის თავისუფლებასა და ეროვნულ წარმოებაზე ორიენტირებული სახელმწიფო. **სურვილებთან ერთად, ჩვენ გვაქვს ვალდებულებებიც, ისევე როგორც ოჯახის წევრებს ერთმანეთის მიმართ. ჩვენი მოვალეობაა დავეუახლოვდეთ ევროკავშირის სტანდარტებს და სამართალს; ევროკავშირის ვალდებულებაა უზრუნველყოს საქართველოს დახმარება ეროვნული ინტერესების განხორციელებაში.**

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადებული ხელშეკრულებებისა და ორმხრივად შეთანხმებული პირობების ფარგლებში, საქართველომ აიღო დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის ვალდებულება. ეს კი საჭიროებს ევროკავშირის სამართლის, ინსტიტუციური ქმედებების, უვნებლობისა და უსაფრთხოების სტანდარტების, მართლმსაჯულების არსის, ბაზრის ფუნქციონირების და სხვა წესების ცოდნას.

თავდაპირველად ამ ცოდნის მიღებაში თავად ევროკავშირი გვეხმარებოდა. დროთა განმავლობაში, საქართველოში დაიწყო „ევროპისმცოდნეობის“ პროგრამების ფუნქციონირება. დღეს კი საქართველოს კონსტიტუციური დანაწესისა და საქართველოსთვის ევროკავშირში განევრების კანდიდატის სტატუსის მიცემის ფონზე, უალრესად და არსებითად მნიშვნელოვანი ხდება გაძლიერებული შემეცნებითი პროცესები ევროკავშირზე, ევროპულ ინტეგრაციაზე, ევროკავშირის სტანდარტებსა და ამ სტანდარტების საქართველოში მოქმედების/ადაპტირების სპეციფიკაზე.

2. რა არის და როგორია ევროკავშირი – ზოგიერთი მნიშვნელოვანი შტრიხი

2.1. დაფუძნება, გაფართოება, ერთიანობა და მრავალფეროვნება

ევროკავშირი არის ევროპულ სახელმწიფოთა ზეეროვნული გაერთიანება (საერთაშორისო ორგანიზაციის წესრიგით დაფუძნებული), რომელიც აერთიანებს 27 სახელმწიფოს საერთო ინტეგრაციას.

ევროკავშირის ისტორია იწყება 1951 წლიდან, როცა ხელი მოეწერა პირველი ევროგაერთიანების ჩამოყალიბების პირველ შეთანხმებას – *ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების შესახებ*. 1957 წელს ხელი მოეწერა ორ შეთანხმებას: *1. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ*; *2. ევრატიომის შესახებ*. ამ სამი ევროგაერთიანების ორგანიზაციის შერწყმით ფორმირებულ იქნა ევროგაერთიანება, შემდეგში – ევროკავშირი.

ევროგაერთიანება ჩამოაყალიბა **ექვსმა** სახელმწიფომ (საფრანგეთი, დასავლეთ გერმანია, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი). ამჟამად, ევროკავშირში 27 სახელმწიფოა. **1951 წლიდან დღემდე 73 წელი გავიდა და ამ დროის განმავლობაში ფუნქციონირებს ევროკავშირი. ევროკავშირმა ოჯახში სულ მიიღო და გაწევრიანა 22 სახელმწიფო** (ბრიტანეთი რამდენიმე მცდელობის შედეგად, 1973 წელს გაწევრიანდა ევროგაერთიანებაში, თუმცა 21-ე საუკუნეში გავიდა ევროკავშირიდან. ბრიტანეთის გასვლით, ბრიტანეთმა და ევროკავშირმა გააგრძელეს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები; ბრიტანეთის თხოვნით, ევროკავშირმა ბრიტანეთს შეუნარჩუნა სავაჭრო პრივილეგიები; **ეს ფაქტი მოწმობს, რომ ევროკავშირი არის მშვიდობიანი, პარტნიორული, დემოკრატიული და ჰუმანური გაერთიანება**. ზემოაღნიშნული, ადასტურებს იმასაც, რომ ევროკავშირი ძალიან ნელა ფართოვდება).

ევროკავშირში გაწევრებულ ქვეყნებს აქვთ საკუთარი სახელმწიფო ენა, კონსტიტუცია, ისტორია, კულტურა და განსხვავებული

ლი ადათ-ნესები. ევროკავშირი დგას ამ განსხვავებათა დაცვის სადარაჯოზე. ევროკავშირის წევრი ქვეყნები იდენტობის, სუვერენობის ხელყოფის გარეშე შედიან ევროკავშირის დიდ ოჯახში და მეტ უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას მოიპოვებენ, მეტად აძლიერებენ თავიანთ დამოუკიდებლობას.

2.2. ევროკავშირში განეწერა ბანკრუტის კოპენჰაგენის კრიტერიუმები და დემოგრაფია

ევროკავშირში განეწერა არ ინვესსიის სახელმწიფოთა დემოგრაფიულ კვდომას და ერი-სახელმწიფოს ცნების მოსპობას. ევროკავშირს აქვს საკმაოდ რთული, კომპლექსური და მკაცრი სტანდარტები განეწერებისთვის, რაც არის ქვეყნის დემოგრაფიის შენარჩუნების გარანტიც, კერძოდ: ქვეყანა ვალდებულია, ევროკავშირში განეწერამდე დააკმაყოფილოს **ევროკავშირის ეკონომიკური და მონეტარული კრიტერიუმები** (კოპენჰაგენის კრიტერიუმების ერთ-ერთი მიმართულება). რას ნიშნავს ეს? ქვეყანამ უნდა განახორციელოს ეროვნული წარმოებისა და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პოლიტიკა, ეროვნული ბაზარი უნდა გახადოს კონკურენტუნარიანი, წარმოებაუნარიანი; ეროვნული წარმოების ზრდის ფონზე უნდა შექმნას დასაქმების ადგილები, ამ დასაქმების ადგილებზე ჩამოაყალიბოს ღირსეული შრომის პირობები (ანაზღაურების ჩათვლით); საპენსიო პოლიტიკა და სოციალური მართლმსაჯულება უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ქვაკუთხედი და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სფერო. **ქვეყანამ, ასევე უნდა შეასრულოს პოლიტიკური კრიტერიუმები**, კერძოდ, დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლება, შექმნას ღირსეული ცხოვრების გარანტიები, განახორციელოს კანონის მიმართ თანაბრად მოქმედების პოლიტიკა ყველასთვის, ჩამოაყალიბოს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსირებული და პროპორციული სივრცე, უზრუნველყოს სასამართლოზე ხელმისაწვდომობა და სწრაფი მართლმსაჯულება, აღმოფხვრას კორუფცია; პროფესიონა-

ლიზმი, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა უნდა გახდეს ქვეყანაში საჯარო მოხელეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა (მათ შორის, მოსამართლეთა) საქამიანობის საფუძველი; ხელი შეუწყოს აზრის გამოხატვის თავისუფლებას. ამ ვალდებულებების შესრულების შედეგად, ქვეყნის მოსახლეობა/მოქალაქეები აღარ იქნებიან მიდრეკილნი საკუთარი სახლების, ოჯახების, სამსახურების, სოფლების, ქალაქების, ქვეყნის დატოვებისკენ. ევროკავშირისთვის ეს ფუნდამენტური საკითხია და ამიტომაც სერიოზულ მონიტორინგს უწევს ქვეყანაში განევრების კრიტერიუმების შესრულებას. ასეთი ქმედება ევროკავშირის მხრიდან არის მხოლოდ მეგობრული, პარტნიორული, გულწრფელი.

ევროკავშირის კოპენჰაგენის კრიტერიუმების დაკმაყოფილება, მხოლოდ და მხოლოდ, განევრების მსურველი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ეხმიანება.

2.3. მშვიდობა

ევროკავშირის შექმნისა და ჩამოყალიბების მთავარი საძირკველია მშვიდობის შენარჩუნება. ამ მიზნით გაერთიანდნენ ომებით გადაღლილი ევროპული სახელმწიფოები და ერთმანეთს დაჰპირდნენ, რომ ყველა დავას, კონფლიქტს, უთანხმოებას ერთმანეთში მოლაპარაკების გზით გადანყვეტენ და არასდროს იქნებოდა ომი მათ შორის. ევროკავშირმა ეს დანაპირები შეასრულა. ასეთი, 73 წელს მიღწეული ხანგრძლივი მშვიდობა, ევროპის კონტინენტზე არ ყოფილა არსადროს. ევროკავშირს აქვს მოთმინების დიდი ნებისყოფა და ყველა ხერხს რაციონალურად, აუჩქარებლად და ეტაპობრივად იყენებს, როცა საქმე ეხება პარტნიორ ქვეყნებში შეიარაღებულ კონფლიქტებსა და ომებს. ხშირად, არ მოსწონთ და აკრიტიკებენ ევროკავშირს თითქოსდა მისი უმოქმედობისათვის, მაშინ როცა, ევროკავშირი გადანყვეტილებებს იღებს მისი შიდა ორგანიზაციული ფუნქციონირების წესებით და მისი გადანყვეტილება 27 წევრი ქვეყნის საერთო გადანყვეტილებაა. ევროკავშირი არ იღებს რადიკალურ და შოკისებურ

გადანყვეტილებებს სამხედრო დახმარების შესახებ. იგი ყველა მეთოდს მიმართავს, რომ თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი გზა, რომელიც ადამიანებს მოუტანს სიკვდილს, იძულებით მიგრაციას, დასახიჩრებას, ტრაგედიას. მაგრამ როცა ევროკავშირი იღებს გადანყვეტილებას სამხედრო დახმარების შესახებ, ეს ნიშნავს, რომ ყველა სხვა გზა უკვე გამოყენებულ იქნა და ახლა რჩება პარტნიორის გვერდში დგომის სამხედრო დახმარების მეთოდი, რაც არის მორალური, ფასეულობითი, ვაჟკაცური (ეს განსაკუთრებით გამოჩნდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან უკრაინაზე თავდასხმისა და ომის დაწყების შემდეგ). **ევროკავშირისთვის ყველაზე დიდ ტრაგედიად და უბედურებად დღემდე რჩება ომი და ომის საფრთხე. ამიტომაც მიიჩნევა ევროკავშირი ყველაზე მშვიდობიან ორგანიზაციად (გაერთიანებად). ევროკავშირის შეფასებისას, ყოველთვის უნდა იქნეს გააზრებული ეს ისტორიული და თვისობრივი კონტექსტი.**

ევროკავშირს არ ახასიათებს მოუწოდოს პარტნიორ ქვეყნებს ევროკავშირში განევრებისკენ. ევროკავშირში თითოეული ქვეყნის განევრების საფუძველი იყო თავად მათი მიმართვა ევროკავშირისადმი. ასეთ დროს, ევროკავშირს აქვს საკუთარი ოჯახის წესრიგი და სთავაზობს განევრების მსურველ ქვეყნებს ამ წესრიგთან დაახლოებას. ამ დაახლოებისთვის კი თავად ევროკავშირი უწევს ქვეყანას ფინანსურ, ტექნიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას; ევროკავშირის გადამხდელთა თანხები და ბიუჯეტი ემსახურება სხვა ქვეყნების და სხვა ქვეყნის მოქალაქეების კეთილდღეობის შექმნას.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმრავლესობა ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ყოფილი საბჭოთა სოციალისტური ბლოკის ქვეყნებია. ევროკავშირისთვის ახალი ცხოვრება დაიწყო 90-იან წლებში. ორი გერმანია გაერთიანდა და ისევ ერთ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. რუსეთის „წითელი“ პოლიტიკის ქვეშ არსებული და ისტორიულ სახელმწიფოს მოგლევჯილი აღმოსავლეთ გერმანიის გაერთიანებით დასავლეთ გერმანიასთან, ისევ ერთიანი გერმანული სახელმწიფო ჩამოყალიბდა. **(ეს ფაქტი ძალიან კარგი მაგალითია იმაში დასარწმუნებლად, რომ საქართველოს**

ევროკავშირში განევრება არ ნიშნავს უარს აფხაზეთსა და ცხინ-
ვალის რეგიონზე. ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება
ნიშნავს, რომ ევროკავშირში განევრებული საქართველო იქნება
ერთიანი და განუყოფელი).

90-იან წლების დასაწყისში დაიშალა საბჭოთა კავშირი, დაიშალა
საბჭოთა სოციალისტური ბლოკის ქვეყნები, დაიშალა იუგოს-
ლავია. **ევროკავშირისთვის ეს იყო დიდი სამეზობლო ომების და
საფრთხის პერიოდი.** თუმცა მან ყველა ახლადშექმნილ ათეულო-
ბით სახელმწიფოს გაუწია ჰუმანიტარული დახმარება. ევროკავ-
შირმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობაც, რამეთუ იცო-
და და ცნობდა საქართველოს დიდ ისტორიულ წარსულსა და
სახელმწიფოებრიობას. დიახ, ევროკავშირს, ამ პატარა სახელ-
მწიფოების გვერდით დგომის, სამართლიანობისა და მისი უმ-
თავრესი ფასეულობის გამო, მოუწია რუსეთის საწინააღმდეგო
განცხადებების გაკეთება. **საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ,
ომში მყოფმა ქვეყნებმა, ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში
მყოფმა და ნახევრად მოშიმშილე ერებმა, ევროკავშირს სთხოვეს
მფარველობა და და მის დიდ ოჯახში გაერთიანება.** ეს დიდი გა-
მონვევა იყო ევროკავშირისთვის. მშვიდობისათვის დაფუძნებუ-
ლი და ეკონომიკური ერთიანობით პერმანენტულად განვი-
თარებადი ევროკავშირი, ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა.
მას სთხოვდნენ პოლიტიკურ დახმარებას. ზუსტად ამ პერიოდში
გაიაზრა ევროკავშირმა, რომ ის ამიერიდან ვერ იქნებოდა მხო-
ლოდ ეკონომიკური კავშირი, მას ემატებოდა ახალი ფუნქცია.
მას იმედის თვალით შეჰყურებენ დანარჩენ მსოფლიოში, გან-
საკუთრებით სამეზობლოში. ევროკავშირი იწყებს ტრანსფორ-
მაციას და დიდ „რეორგანიზაციას“. 1992 წლის მაასტრიხტის
ხელშეკრულებით ევროგაერთიანებას ეწოდა ევროკავშირი და
მას დაემატა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართუ-
ლება. **ამიერიდან, ევროკავშირი პოლიტიკური და ეკონომიკური
კავშირია. ამიერიდან, ევროკავშირი აყალიბებს კოპენჰაგენის
კრიტერიუმებს, სპეციალურად შემუშავებულს პოსტ-საბჭოთა
ქვეყნებისთვის.** ეს კრიტერიუმები, ერთი მხრივ, არის სწრაფი და
მასიური განევრების პრევენციის საშუალება, მეორე მხრივ, კი –

მეზობელი ქვეყნების დემოკრატიზაციისა და განვითარების ინსტრუმენტი. პროცესი უნდა იყოს ორმხრივი: დაცული უნდა იყოს როგორც ევროკავშირის ოჯახის სტანდარტი და წესრიგი (რასაც პატივი უნდა სცეს განევრების (ოჯახში შესვლის) მსურველმა სახელმწიფომ და შეასრულოს ვალდებულებები), ასევე, ევროკავშირი უნდა დაეხმაროს პარტნიორ ქვეყანას ფეხზე დადგომაში, დამოუკიდებლობის მიღწევაში, ეკონომიკის აღორძინებაში, წარმოების პროცესისა და ეროვნული წარმოების დაწყებაში, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში, ინფრასტრუქტურის მშენებლობაში და სხვა. **ეს პროცესი არ შეიძლება იყოს ცალმხრივი.** თუ ქვეყანას სურს ევროკავშირში წევრობა, ის უერთდება ევროპულ წესრიგს და სამაგიეროდ იღებს გაძლიერებას, განვითარებას, შენებას, დაცვას, ფინანსებს, ტექნოლოგიებს, არნახულად ბევრ შესაძლებლობას მოქალაქეებისათვის, საჯარო სამსახურის, ეკონომიკის, რეგიონების, სოფლების, წარმოების განვითარებისათვის.

90-იანი წლებიდან დღემდე ბევრი პოსტ-საბჭოთა ქვეყანა განევრიანდა ევროკავშირში. ბალკანეთის ქვეყნები „დიდი ხანია დგანან განევრების რიგში“. ისინი ერთგვარად უკმაყოფილონიც იყვნენ უსასრულო მოლოდინით. და აი, **2023 წლის დეკემბერში ევროკავშირი იღებს ამბიციურ გადაწყვეტილებას (მსგავსად 90-იანი წლებისა) და 10 ქვეყნის მიმართ აცხადებს გაფართოების პროცესის დაწყებას.** ამ ათ ქვეყანაში მოექცა საქართველო, რაც დანარჩენ 9 ქვეყანასთან შედარებით, კიდევ უფრო დიდი „პოლიტიკური სასწაულია“, რამეთუ შავი ზღვის გადმოღმა აღმოსავლეთ სანაპიროზე და მდებარეობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ევროკავშირის მხრიდან საქართველოსადმი განხორციელდა დიდი ერთგულების აქტი. ასეთი ისტორიული და რეალური პოლიტიკური შანსი საქართველოს არც ჰქონია. ეს საქართველოს გამარჯვების აღიარებაა. **2023 წელს ზოგიერთი სახელმწიფოსთვის ვერ გაიხსნა ევროკავშირში განევრების კარი, საქართველოსთვის კი ის გაიხსნა.**

2.4. ინსტიტუტები

ევროკავშირმა ჩამოაყალიბა ინსტიტუტები და ორგანოები, რათა უზრუნველყო ევროკავშირის ფუნქციონირება. ფუნქციების მიხედვით, ეს ინსტიტუტები დაყოფილია შემდეგ ძირითად მიმართულებებად: საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო, აუდიტი, ევროპული ცენტრალური ბანკი. ქოლგა ორგანოს წარმოადგენს სტრატეგიული გადანყვეტილებების მიმღები ევროპული საბჭო. ევროკავშირის ძირითადი ორგანოებია:

- **ევროპული საბჭო (European Council)**
- **ევროკავშირის საბჭო (Council of the European Union)**
- **ევროპარლამენტი (European Parliament)**
- **ევროკომისია (European Commission)**
- **ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (Court of Justice of the European Union/CJEU)**
- **აუდიტორთა სასამართლო (European Court of Auditors)**
- **ევროპის ცენტრალური ბანკი (European Central Bank)**

2.5. თავისუფლება

ევროკავშირი უზრუნველყოფს ბიზნესისა და მოქალაქეთა თავისუფლებას. ეს თავისუფლება გარანტირებულია ოთხი ნორმატიული გადაადგილების თავისუფლებით:

- პირის გადაადგილების თავისუფლება;
- საქონლის გადაადგილების თავისუფლება;
- მომსახურების გადაადგილების თავისუფლება;
- კაპიტალის გადაადგილების თავისუფლება.

ამ თავისუფლების მიღწევას ევროკავშირში დიდი ღრო დაეთმო, ბევრი კანონი მიიღეს, უამრავი სასამართლო პრეცედენტი დადგა. შედეგი ასეთია – ევროკავშირში არის:

- **კმაყოფილი და გაძლიერებული სახელმწიფო;**
- **კმაყოფილი ბიზნესი 450 მილიონიანი საზღვრებს გარეშე სივრცით;**

➤ **კმაყოფილი მოქალაქე/ადამიანი/მომხმარებელი, არჩევანის თავისუფლებით.**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ევროკავშირი ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ადგილია მთელს მსოფლიოში ახალგაზრდისთვის, ბავშვისთვის, ხანდაზმულისთვის.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ევროკავშირს ახასიათებს სტანდარტებზე აქცენტირება, უვნებლობისა და უსაფრთხოების მიმართ ფაქტიურად შეუწყნარებელი პოლიტიკა, მთელი მსოფლიო ცდილობს ევროკავშირში მოგზაურობას, სწავლას, ვაჭრობას, პოლიტიკური თავშესაფრის მოპოვებას, მშვიდობიან და უსაფრთხო გარემოში ცხოვრებას. ეს იმიტომ, რომ იქ გარანტირებულია თავისუფლება და კანონის უზენაესობა.

სწავლების პროცესში ერთ-ერთმა სტუდენტმა მოგვმართა შეკითხვით: ხომ შეიძლება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს არ სურდეს ლტოლვილთა მიღება, მაშინ რატომ უნდა მოსთხოვოს ევროკავშირმა ქვეყანას დაეხმაროს ლტოლვილებს? აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ასეთია: ევროკავშირში არის საერთო ფასეულობები და პრინციპები, სამართალი და ერთმანეთში შეთანხმებული წესები, რომელიც მას არ აძლევს მორალურ უფლებას უარი უთხრას დახმარებაზე გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს. ასეთ ფასეულობებზე არის ევროკავშირი აშენებული და დღემდე, 73 წლის განმავლობაში განგრძობადად ფუნქციონირებადი; ევროკავშირის წევრი ქვეყნები კი ვალდებული არიან სოლიდარულად იმოქმედონ წარსულში ერთად შეთანხმებული და მიღებული წესებისა და კანონების დასაცავად.

დიახ, ევროკავშირში, წევრ ქვეყნებს შორის არის დავა, კამათი, განსხვავება (ამიტომაც არის ის დემოკრატიული). მაგრამ ამ წევრ ქვეყნებს აერთიანებს საერთო ევროპული იდეები: ადამიანის უზენაესობა, თავისუფლება, კეთილდღეობა, მშვიდობა და სოლიდარობა.

იხ. მეტი:

- ქელიძე გ., ქარდავა ე., ბრაგვაძე ზ., ევროპული ასოციირების პროცესი საქართველოში, კავკასიის უნივერსიტეტი, 2020, <https://cu.edu.ge/files/gallery/Grant%20Projects/2020/broshura-geo-Bolo.pdf>
- ქარდავა ე., ევროკავშირი, ასოციირების შეთანხმება და სამართლებრივი აპროქსიმაცია, 2023, <https://www.gu.edu.ge/uploads/other/14/14341.pdf>
- **Kardava E., Tchelidze G., Features of the EU Enlargement Policy – Vision From Georgia, TalTech Journal of European Studies, Estonia, Volume 14, June, (2024),** <https://sciendo.com/article/10.2478/bjes-2024-0007>
- ქარდავა ე., კოპენჰაგენს +1 და საქართველოს კანდიდატობა, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 12/2023, https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-12-2023.pdf?fbclid=IwAR-3obb1KKPLV5aSfYqSRyYH4iFm6pxkWrB5ISxGgpbpbtrtpuEKGMGPLSjOY_aem_AXQfDRKJw8eX_UjjEmLcM1Vwcyal1E7fNOD99Cni5UzvbI4HTgMkhSWS-GulTqHpe3KzgjXV07BQp_Vw08LjiqbC7
- **EU Countries,** https://european-union.europa.eu/principles-countries-history/eu-countries_en

3. როგორ სწავროვებთ იღებთ ევროკავშირი სავალდებულო სასიათის საკანონმდებლო აქტებს

ევროკავშირს არ აქვს საკუთარი თავისთვის კომპეტენციის მი-
ნიჭების უფლებამოსილება. იმისთვის, რომ ევროკავშირმა იმოქ-
მედოს (მიიღოს გადაწყვეტილება, მიიღოს კანონი) მას უნდა
ჰქონდეს წევრი ქვეყნებისგან მინიჭებული კომპეტენცია. ევრო-
კავშირს კომპეტენცია გადაეცემა ევროკავშირის ბაზისურ (დამ-
ფუძნებელ) ხელშეკრულებაში განერით/ცვლილების შეტანით,
რასაც უნდა დაეთანხმოს ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა.
ამდენად, **ევროკავშირი მოქმედებს წევრი ქვეყნებისგან განსა-
ზღვრული ჩარჩოს ფარგლებში.**

ევროკავშირისთვის მინიჭებული კომპეტენციები, ძირითადად,
სამ ნაწილად იყოფა: **ექსკლუზიური, გაზიარებული და მხარდამ-
ჭერი.**

**ევროკავშირს ყველაზე დიდი ძალაუფლება აქვს ექსკლუზიური
კომპეტენციის ფარგლებში.** ეს ნიშნავს, რომ იღებს კანონებსა და
სავალდებულო სახის გადაწყვეტილებებს, აქვს მონიტორინგის,
აღსრულების და სანქცირების უფლება, მოქმედებს ერთპიროვ-
ნულად, იძენს „პოლიციურ“ უფლებამოსილებას. **ექსკლუზიური
კომპეტენციების სფეროში შედის ევროკავშირის შიდა ბაზრის
ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები** (სავაჭრო-
ეკონომიკური პროფილი): საბაჟო კავშირი; კონკურენციის წესე-
ბი; მონეტარული პოლიტიკა; საერთო კომერციული პოლიტიკა;
საზღვაო ბიოლოგიური რესურსების კონსერვაცია მეთევზეობის
საერთო პოლიტიკის ფარგლებში.

იხ. მეტი:

- ქარდავა ე., ევროკავშირი, ასოცირების შეთანხმება და სამართ-
ლებრივი აპროქსიმაცია, 2023, [https://www.gu.edu.ge/uploads/oth-
er/14/14341.pdf](https://www.gu.edu.ge/uploads/other/14/14341.pdf)
- გაბრიჩიძე გ, ევროპის კავშირის სამართალი, ნიუ ვიჟენ უნი-
ვერსიტეტი, 2023.

4. როგორია საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობების ისტორიული დინამიკა

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობების ისტორია 9 ძირითად ფაზად შეიძლება დაიყოს:

1. **ურთიერთობების დაწყება:** საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ევროკავშირის მხრიდან საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს აღიარება და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ოფიციალური დაწყება (1992 წ.); ევროკავშირის მხრიდან სამხრეთ კავკასიაში წარმომადგენლის დანიშვნა (1994 წ.);
2. **ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის სათავე:** საქართველოს მხრიდან ევროპული ინტეგრაციის პროცესის ოფიციალური დაწყება, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ დონეზე, უკავშირდება საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების (PCA) ხელმოწერას 1996 წელს, რომელიც სრულად ძალაში შევიდა 1999 წელს.
3. **საქართველოს ჩართვა ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში:** 2004 წლიდან საქართველო გახდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ბენეფიციარი. 2006 წელს შემუშავდა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა (ENP AP). ამ პერიოდში გრძელდება PCA-ის მოქმედება, რასაც პარალელურად დაემატა კონკრეტულ სფეროებში ევროპული ინტეგრაციის გაღრმავებული ვალდებულებები საქართველოს მხრიდან, ხოლო ევროკავშირის მხრიდან – საქართველოსთვის დახმარების პროგრამები, ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა.
4. **საქართველოს მონაწილეობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში:** 2008 წელს ევროკავშირმა გააჟღერა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა და 2009 წელს ევროკავშირსა და ექვს აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყანას შორის (უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი, საქართველო, სომხეთი,

აზერბაიჯანი) ხელი მოეწერა აღმოსავლეთ პარტნიორობის დეკლარაციას. ამ პერიოდში გრძელდება PCA-ს მოქმედება, ხოლო დეკლარაციით განისაზღვრა გაღრმავებული ევროპული ინტეგრაციის დღის წესრიგი.

5. **პარტნიორობა მობილურობისათვის:** 2009 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმდა დეკლარაცია “Mobility Partnership”, რომელიც მხარეთა შორის აწესრიგებდა სავიზო რეჟიმის, კანონიერი მიგრაციის, ინტეგრირებული საზღვრის დაცვის საკითხებს.
6. **ევროპული ასოცირება:** აღმოსავლეთ პარტნიორი ექვსი ქვეყნიდან, ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის ფარგლებში დანიშნულა სამი ქვეყანა და არაფორმალურად ჩამოყალიბდა ასოცირების ტრიო (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა). 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაიდო ასოცირების შეთანხმება (იდეენტურად: უკრაინასთან და მოლდოვასთან). ამ შეთანხმებით ევროკავშირსა და საქართველოს შორის ჩამოყალიბდა ასოცირებული პოლიტიკური პარტნიორობა. შეთანხმებამ საფუძველი ჩაუყარა ევროპული ინტეგრაციის ღრმა ფორმატს, მათ შორის, საქართველოსა და ევროკავშირს შორის საერთო საბაჟო სივრცის, ღრმა და ყოველმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბების შესაძლებლობას (დადგენილი ვალდებულებების შესრულების შესაბამისად). შეთანხმების ნაწილის ამოქმედება დაიწყო 2014 წელს, ხოლო შეთანხმება სრულად ძალაში შევიდა 2016 წელს. PCA მოქმედებდა 2016 წლამდე (ასოცირების შეთანხმების სრულად ძალაში შესვლის თარიღამდე).
7. **უვიზო რეჟიმი შენგენის სივრცეში:** 2017 წელს საქართველოს მოქალაქეებისთვის გაიხსნა შენგენის სივრცეში გადაადგილების თავისუფლება – უვიზო რეჟიმი. ევროკავშირმა ეს გადაწყვეტილება დააფუძნა საქართველოს მხრიდან ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმისა (VLAP) და ევროკავშირის სამართალთან დაახლოების რეკომენდაციებისა და ვალდებულებების კარგ შესრულებას.

8. **ევროპული პერსპექტივის დასაწყისი:** 2022 წლის 24 ივნისს, ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთვის პოტენციური კანდიდატობის სტატუსის მინიჭების შესახებ. ამიერიდან, საქართველოსთვის გაიხსნა ევროპული პერსპექტივა (განევრების პერსპექტივა).
9. **ევროკავშირის გაფართოების პაკეტი:** 2023 წლის 14-15 დეკემბრის სამიტზე, ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს მიანიჭოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. ამიერიდან, საქართველო ჩაერთო ევროკავშირის 2023 წლის გაფართოების პაკეტში. 2023 წელს ევროკავშირმა მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება ახალი გაფართოების ტალღისა და 10 ქვეყნის (ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მონტენეგრო, კოსოვო, ჩრდილოეთ მაკედონია, სერბეთი, თურქეთი, უკრაინა, მოლდოვა, საქართველო) ევროკავშირში განევრების პროცესის დაწყების თაობაზე.

ზემოაღნიშნულ ფაზებს შორის, ევროკავშირსა და საქართველოს შორის, ყოველდღიური კომუნიკაციის თანამშრომლობის, ინფორმაციული გაცვლის, მოლაპარაკებების, სამოქმედო გეგმების შეთანხმების, რეკომენდაციების გაცემის, შესრულების ანგარიშგების, ევროკავშირის მხრიდან დახმარებების ზრდის და მხარდაჭერის უწყვეტი პროცესია. 30 წლიანი ურთიერთობების განმავლობაში, ევროკავშირის მხრიდან შემუშავდა და გამოქვეყნდა საქართველოს პროგრესის არა ერთი დოკუმენტი, სადაც ასახულია რეფორმები, დადებითი პროცესების დინამიკა, მიღწეული შედეგები, ამავდროულად, – სამომავლოდ შესასრულებელი ნაბიჯები და რეკომენდაციები. თავის მხრივ, ევროკავშირის პრინციპი „მეტი მეტისათვის“ ხორციელდებოდა და საქართველო დიდხანს იკავებდა ლიდერი ქვეყნის პოზიციას (იღებდა სხვა ქვეყნებთან შედარებით მეტ ფინანსურ დახმარებას, მხარდაჭერას) შესაბამისი რეკომენდაციების შესრულების კვალდაკვალ.

ამჟამად, საქართველოს ევროკავშირში განევრების პროცესი შეჩერებულია. EU-ს წევრი ქვეყნების სახელმწიფო/მთავრობის მე-

თაურებმა, 2024 წლის 27 ივნისს გამართული ევროპული საბჭოს სხდომაზე, გამოხატეს თავისი შეშფოთება საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.¹

იხ. მეტი:

- საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია, საგარეო საქმეთა სამინისტრო, <https://mfa.gov.ge/european-union/903144-saqartvelo-evrokavshiris-urtiertobebis-mnishvnelovani-movlenebis-qronologia>
- საგარეო საქმეთა სამინისტროს გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ევროპული ინტეგრაციის დოკუმენტების, გეგმების, შესრულების ანგარიშების შესახებ: <https://mfa.gov.ge/european-union>
- ქარდავა ე., ევროკავშირი, ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი აპროქსიმაცია, 2023, <https://www.gu.edu.ge/uploads/other/14/14341.pdf>
- ჭელიძე გ. ქარდავა ე., ბრავაძე ზ. ევროპული ასოცირების პროცესი საქართველოში, კავკასიის უნივერსიტეტი, 2020, <https://cu.edu.ge/files/gallery/Grant%20Projects/2020/broshura-geo-Bolo.pdf>
- ქარდავა ე., საქართველოს შრომის სამართლის რეფორმა ევროპული ინტეგრაციისა და ასოცირების შეთანხმების მოთხოვნათა ჩრილში, თსუ, 2018. https://press.tsu.ge/data/image_db_innova/Eka%20Kardava.pdf
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა, პრადის დეკლარაცია, 2009, https://www.consilium.europa.eu/media/31797/2009_eap_declaration.pdf
- პარტნიორობა მობილურობისათვის, 2009 წლის დეკლარაცია, https://home-affairs.ec.europa.eu/document/download/38ebe0f7-f887-41e4-9f4b-45753f465160_en?filename=mobility_partnership_georgia_en.pdf
- VLAP, 2013, <https://migration.commission.ge/files/vlap-eng.pdf>
- განახლებული აღმოსავლეთ პარტნიორობა, 2021, <https://www.consilium.europa.eu/media/53527/20211215-eap-joint-declaration-en.pdf>
- ევროკავშირი და საქართველო, <https://euneighbourseast.eu/countries/georgia/>

1 სახელმძღვანელო გამოცემულია 2024 წლის შემოდგომაზე და ეს ჩანაწერი ასახავს არსებულ მდგომარეობას ამ აღნიშნული პერიოდისათვის.

- ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება, 2022 წლის 24 ივნისი, <https://www.consilium.europa.eu/media/57442/2022-06-2324-euco-conclusions-en.pdf>
- ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება, 2023 წლის 15 დეკემბერი, <https://www.consilium.europa.eu/media/68967/europeancouncilconclusions-14-15-12-2023-en.pdf>
- ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება, 2024 წლის 27 ივნისი, <https://www.consilium.europa.eu/media/qa3lblga/euco-conclusions-27062024-en.pdf>
- https://www.eeas.europa.eu/georgia/european-union-and-georgia_en?s=221
- https://home-affairs.ec.europa.eu/policies/international-affairs/collaboration-countries/visa-liberalisation-moldova-ukraine-and-georgia_en
- https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/%20en/ip_23_5633

5. სად მოვკავხართ ევროკავშირზე ოფიციალური ინფორმაცია

5.1. პირველადი სამართალი

ევროკავშირის სამართალს აქვს სისტემური ხასიათი. პირველადი სამართალი უზენაესია, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის დანარჩენი სამართლებრივი აქტები. პირველადი სამართალი რამდენიმე წყაროსგან შედგება.

ა) ევროკავშირის პირველადი სამართალია ევროკავშირის ნევრ ქვეყნებს შორის დადებული დამფუძნებელი (ფუნდამენტური/საბაზისო) ხელშეკრულებები:

- პარიზის 1951 წლის ხელშეკრულება (ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების შესახებ. მოქმედებდა 50 წელი);
- რომის 1957 წლის ხელშეკრულება (ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შესახებ);
- რომის 1957 წლის ხელშეკრულება (ევრატომი);
- 1992 წლის მასტრიხტის ხელშეკრულება (ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება).

ბ) დამფუძნებელ/საბაზისო ხელშეკრულებებში ცვლილების ხელშეკრულებები:

- 1986 წელის ერთიანი ევროპული აქტი;
- 1997 წელის ამსტერდამის ხელშეკრულება;
- 2001 წლის ნიცის ხელშეკრულება;
- 2007 წლის ლისაბონის ხელშეკრულება (ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება).

გ) განწვერების ხელშეკრულებები:

- დანია, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი (1972 წ.);
- საბერძნეთი (1979 წ.)
- ესპანეთი, პორტუგალია (1985 წ.);
- ავსტრია, ფინეთი, შვედეთი (1994 წ.);
- ჩეხეთი, კვიპროსი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიეტუვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია (2003 წ.).

- რუმინეთი, ბულგარეთი (2005 წ.)
- ხორვატია (2012 წ.).

დ) ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია

- ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია, 2007 წელს ინტეგრირებულ იქნა ლისაბონის ხელშეკრულებაში და გახდა პირველადი სამართლის წყარო.

იხ. მეტი:

- ევროკავშირის სამართლის საძიებო სისტემაა EUR-Lex
- [https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/summary/the-european-union-s-primary-law.html#:~:text=WHAT%20IS%20PRIMARY%20LAW%3F,the%20Treaty%20on%20European%20Union\).](https://eur-lex.europa.eu/EN/legal-content/summary/the-european-union-s-primary-law.html#:~:text=WHAT%20IS%20PRIMARY%20LAW%3F,the%20Treaty%20on%20European%20Union).)
- პირველადი სამართლის ძირითადი აქტების კონსოლიდირებული ვერსია (მაასტრიხტი ხელშეკრულებისა და ლისაბონის ხელშეკრულების კონსოლიდირებული ვერსია) შეგიძლია იხილოთ აქ: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:12016ME/TXT>
- ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12016P%2FTXT>
- ქარდავა ე., ევროკავშირი, ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი აპროქსიმაცია, 2023, <https://www.gu.edu.ge/uploads/other/14/14341.pdf>
- გაბრიჩიძე გ. ევროპის კავშირის სამართალი, 2023.

5.2. მეორეული სამართალი

ევროკავშირის მეორეული სამართალი მიიღება პირველადი სამართლის ფარგლებში კონკრეტულ სფეროსა და საკითხებს მიკუთვნებული ასპექტების რეგულირებისთვის. მეორეული სამართალი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პირველად სამართალს.

მეორეული სამართალი რამდენიმე წყაროსგან შედგება: საკანონმდებლო აქტები (სავალდებულო ბუნების და შესასრულებლად მბოჭავი):

- რეგულაცია/რეგლამენტი (Regulation)
- დირექტივა (Directive)
- გადაწყვეტილება (Decision);

არასაკანონმდებლო აქტები:

- რეკომენდაცია (Recommendation)
- პოზიცია (Opinion).

იხ. მეტი:

- <https://eur-lex.europa.eu/homepage.html>
- https://commission.europa.eu/law/law-making-process/types-eu-law_en#:~:text=Primary%20versus%20secondary%20law,-Every%20action%20taken&text=Treaties%20are%20the%20starting%20point,%2C%20decisions%2C%20recommendations%20and%20opinions.
- ქარდავა ე., ევროკავშირი, ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი აპროქსიმაცია, 2023, <https://www.gu.edu.ge/uploads/other/14/14341.pdf>

5.3. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო გადაწყვეტილება

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (CJEU) ევროკავშირის სასამართლო ხელისუფლებაა. იგი უმაღლესი ინსტანციის სასამართლოა და მისი გადაწყვეტილებები საბოლოოა. შედგება ორი საფეხურის სასამართლოსგან: მართლმსაჯულების სასამართლოსგან (Court of Justice) და მთავარი სასამართლოსგან (General Court).

სასამართლოს მოქმედების ძირითადი მიმართულებებია:

- ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ მიღებული აქტების კანონიერების განხილვა;
- ნეკრი სახელმწიფოების მხრიდან დამფუძნებელი/ბაზისური ხელშეკრულებების შესრულების ვალდებულების უზრუნველყოფა;
- ეროვნული სასამართლოებისა და ტრიბუნალების მოთხოვნით ევროკავშირის სამართლის ინტერპრეტაცია.

CJEU-ს მიმართავს:

- ევროკავშირის ნევერი სახელმწიფო;
- ევროკავშირის ინსტიტუტი/ორგანო;
- ევროკავშირის ნევერი სახელმწიფოს ეროვნული სა-სამართლო;
- კერძო პირი.

იხ. მეტი:

- CJEU-ის შესახებ ინფორმაცია და ევროკავშირის მართლმადე-ლების სასამართლოს გადაწყვეტილებები (Case Law) განთავსე-ბულია აქ: https://curia.europa.eu/jcms/jcms/j_6/en/

5.4. ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტების და თემატური საძიებო ინტერნეტ-გვერდები

ევროკავშირს მართავს ორგანოები/ინსტიტუტები, რომელთა ფუნქციები დადგენილი და განსაზღვრულია ევროკავშირის პირ-ველადი სამართლით. მათი საქმიანობა, ქმედებები, გადაწყვეტი-ლებები ღია და საჯაროა.

ევროკავშირის გვერდი: europa.eu

https://european-union.europa.eu/index_en

ინსტიტუტების საძიებო:

https://european-union.europa.eu/institutions-law-budget/institutions-and-bodies_en

ევროპული საბჭო:

<https://www.consilium.europa.eu/en/>

<https://www.consilium.europa.eu/en/european-council/>

ევროკავშირის საბჭო:

<https://www.consilium.europa.eu/en/council-eu/>

ევროკომისია:

https://commission.europa.eu/index_en

ევროპარლამენტი:

<https://www.europarl.europa.eu/portal/en>

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო:

https://curia.europa.eu/jcms/jcms/j_6/en/

ევროპული ცენტრალური ბანკი (ECB):

<https://www.ecb.europa.eu/home/html/index.en.html>

აუდიტორთა ევროპული სასამართლო (ECA):

<https://www.eca.europa.eu/en>

ევროპული ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი (EESC):

<https://www.eesc.europa.eu/en>

რეგიონების ევროპული კომიტეტი (CoR):

<https://cor.europa.eu/en>

ევროპული საინვესტიციო ბანკი (EIB):

<https://www.eib.org/en/index.htm>

ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური (EEAS):

https://www.eeas.europa.eu/_en

ევროპული ომბუდსმენი:

<https://www.ombudsman.europa.eu/en/home>

განათლებისა და კულტურის ევროპული აღმასრულებელი სააგენტო (EACEA):

https://www.eacea.ec.europa.eu/index_en

თემატური საძიებო:

https://european-union.europa.eu/priorities-and-actions/actions-topic_en

აქ, წარმოდგენილია შემდეგი მიმართულებები:

- სოფლის მეურნეობა
- ბიზნესი და ინდუსტრია
- კულტურა
- საბაჟო
- განვითარება და თანამშრომლობა
- განათლება, ტრენინგები და ახალგაზრდობა
- დასაქმება და სოციალური საკითხები

- ენერგეტიკა
- გარემოს დაცვა
- საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა
- ჯანმრთელობა
- ადამიანის უფლებები და დემოკრატია
- ჰუმანიტარული დახმარება და სამოქალაქო დაცვა
- მართლმსაჯულება და ფუნდამენტური უფლებები
- რეგიონული პოლიტიკა
- კვლევები და ინოვაციები
- შიდა ბაზარი
- გადასახადები
- ვაჭრობა
- ტრანსპორტი

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა სამხრეთით და აღმოსავლეთით,

<https://euneighbours.eu/>

აღმოსავლეთ პარტნიორობა 2020-ის შემდეგ, [https://www.eeas.europa.eu/](https://www.eeas.europa.eu/eeas/eap-beyond-2020_en)

[eeas/eap-beyond-2020_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/eap-beyond-2020_en)

ევროკავშირის გაფართოების პაკეტი 2023 (Enlargement Pack 2023),

https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/%20en/ip_23_5633

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში: https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia_ka?s=221

https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia_ka?s=221

6. ძირითადი შეთანხმებები საქართველოსა და ევროკავშირის შორის²

- საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის შესახებ, 2024 წ.
- ევროკავშირისა და საქართველოს შორის საბაჟო სფეროში თანამშრომლობის მიზნით, ევროკავშირის „საბაჟო პროგრამაში“ საქართველოს მონაწილეობის შესახებ, 2022 წ.
- ევროკავშირისა და საქართველოს შორის საგადასახადო სფეროში თანამშრომლობის მიზნით, ევროკავშირის „საგადასახადო პროგრამაში“ საქართველოს მონაწილეობის შესახებ, 2022 წ.

2 აქ ჩამოთვლილია, ასევე, საქართველოსა და EBRD-ს შორის დადებული ზოგიერთი საგრანტო შეთანხმება. EBRD-ის თანამფლობელია ევროკავშირი და ევროკავშირის დაფუძნებული საინვესტიციო ბანკი.

- „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის საგრანტო შეთანხმება (თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი), 2023 წ.
- „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის საგრანტო შეთანხმება (ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი – კლიმატური პირობებისადმი მდგრადობის გაუმჯობესება“, 2022 წ.
- „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის საგრანტო შეთანხმება (შენობებში მწვანე ინვესტიციების პროექტი)“, 2022 წ.
- 2017 წლის 13 ივლისის „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის საგრანტო შეთანხმების (ბათუმის ავტობუსების პროექტი) (აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობის და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდის საინვესტიციო გრანტთან დაკავშირებით)“ №1 ცვლილების შეთანხმება“, 2022 წ.
- საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის საგრანტო შეთანხმება (ბათუმის ავტობუსების პროექტი) (აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობის და გარემოს დაცვის საპარტნიორო ფონდის საინვესტიციო გრანტთან დაკავშირებით), 2017 წ.
- „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (თბილისის ავტობუსების პროექტი) აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობის და გარემოს დაცვის საპარტნიორო რეგიონალური ფონდის საინვესტიციო გრანტთან დაკავშირებით“ საგრანტო შეთანხმება, 2016 წ.

- ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირის შორის ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამაში „ჰორიზონტი ევროპა“ საქართველოს მონაწილეობის შესახებ, 2021 წ.
- საქართველოსა და ევროკავშირის შორის „შემოქმედებითი ევროპის“ პროგრამაში (2021-2027) საქართველოს მონაწილეობის შესახებ, 2021 წ.
- საქართველოსა და ევროჯასტს შორის თანამშრომლობის შესახებ, 2019 წ.
- „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის უსაფრთხო კომუნიკაციის არხის თაობაზე“ ურთიერთგაგების მემორანდუმი, 2018 წ.
- საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის მეკავშირეობის შესახებ, 2018 წ.
- საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ, 2017 წ.
- ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან მიერთების ოქმი, 2016 წ.
- საქართველოსა და ევროპის კავშირის შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის უსაფრთხოების პროცედურების შესახებ, 2016 წ.
- ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის სამხედრო სანვრთნელ მისიაში (European Union CSDP Military Training Mission in the Central African Republic – EUTM RCA) მონაწილეობის მიღების მიზნით საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთი ოცეულის გაგზავნაზე თანხმობის მიცემის შესახებ, 2016 წ.
- ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის სამხედრო მრჩეველთა მისიაში (EU Military advisory Mission in Central African Republic – EUMAM RCA) სწრაფი რეაგირების ჯგუფში (Immediate Reaction Team – IRT) მონაწილეობის

მიღების მიზნით საქართველოს შეიარაღებული ძალების ხუთკაციანი ჯგუფისა და მალის რესპუბლიკაში ევროკავშირის სანვრთნელ მისიაში (EU Training Mission in Mali – EUTM Mali) მონაწილეობის მიღების მიზნით საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთი სამხედრო მოსამსახურის გაგზავნაზე თანხმობის მიცემის შესახებ, 2015 წ.

- **ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014 წ.**
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის წყლის ინფრასტრუქტურის მოდერნიზება – ფაზა II დაფინანსების ხელშეკრულება, 2014 წ.
- ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ოპერაცია EUFOR RCA-ში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს შეიარაღებული ძალების ორი ოცულის გაგზავნაზე თანხმობის მიცემის შესახებ, 2014 წ.
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობისათვის სტრუქტურის ჩამოყალიბების თაობაზე, 2013 წ.
- „ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის ჩარჩო ხელშეკრულების თაობაზე ევროპის კავშირის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ძირითადი პრინციპების შესახებ“ ერთის მხრივ, ევროპის გაერთიანებებსა, და მათ წევრ სახელმწიფოებსა, და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ოქმი, 2013 წ.
- **ევროკავშირსა და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ, 2011 წ.**
- საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის – საქართველოში სახელწიფო ფინანსების მართვის რეფორმის მხარდაჭერა-ფაზა II, 2011 წ.
- საქართველოს მთავრობას, აჭარის ავტონომიური რეს-

პუბლიკის მთავრობას, თვითმმართველ ქალაქ ბათუმსა და ევროპის კავშირს შორის „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია – ფაზა III (წყლის მიწოდება და წყალანირება ბათუმსა და მის მიმდინარე სოფლებში), 2011 წ.

- **საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ, 2010 წ.**
- **საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ, 2010 წ.**
- **საქართველოსა და ევროკავშირის შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ, 2010 წ.**
- ევროპის გაერთიანებასა და საქართველოს მთავრობას შორის „საქართველოს პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მხარდაჭერის პროგრამის“ (Support for the Vocational Education and Training Sector of Georgia) დაფინანსების ხელშეკრულება, 2009 წ.
- ევროპის გაერთიანებასა და საქართველოს შორის „საქართველოს 2009 სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის“ (Georgia 2009 Food Security Programme) დაფინანსების ხელშეკრულება, 2009 წ.
- **ევროკავშირსა და საქართველოს შორის საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის სტატუსის შესახებ, 2008 წ.**
- ჩარჩო შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ევროპის გაერთიანებათა კომისიას შორის, 2007 წ.
- საქართველოს მთავრობასა და ევროგაერთიანებას შორის საჰაერო მომსახურების გარკვეული ასპექტების შესახებ, 2006 წ.
- საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ევროკომისიას შორის ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ტერიტორიებისათვის ევროკავშირის სა-რეაბილიტაციო პროგრამის თაობაზე, 1998 წ.
- **პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, 1996 წ.**

ზემოაღნიშნული და სხვა დოკუმენტების ნახვა შესაძლებელია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს გვერდზე: <https://matsne.gov.ge/>

7. ევროკავშირის მხრიდან საქართველოს უიფასების დოკუმენტები

ევროკავშირი აქვეყნებს საქართველოს და სხვა პარტნიორი სახელმწიფოების მიმართ პროგრესის შეფასების ყოველწლიურ დოკუმენტებს. **თითოეული ქვეყნის მიმართ მზადდება ინდივიდუალური შეფასება.** შეფასება მხოლოდ იმ ქვეყნებს მიემართებათ, რომლებიც ახორციელებენ ევროპულ ინტეგრაციის ოფიციალურ პოლიტიკას და სურთ ევროკავშირში გაწევრება.

ევროკავშირის მხრიდან, საქართველოს პროგრესის ანგარიშები ქვეყნდება 2007 წლიდან.

- 2007, 2008, 2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014 წლების ანგარიშები შეეხებოდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (ENP AP) შესრულებას;
- 2015, 2016, 2017, 2018, 2019, 2020, 2021, 2022 წლების ანგარიშები შეეხებოდა ასოცირების შეთანხმების (AA/DCFTA) შესრულებას;
- 2023 წლის ანგარიში განსაკუთრებულია, რამეთუ ამ დროისთვის (2022 წლის ივნისიდან) საქართველოსთვის გახსნილია ევროპული პერსპექტივა. ამდენად, შეფასების სტრუქტურა განსხვავებულია, იგი მომზადებულია 6 კლასტერისა და 33 თავის (სფეროს) მიხედვით. აქ, ფაქტიურად საქართველო შეფასებულია ბოლო 10 წლის (და ზოგიერთ შემთხვევაში მეტი) პერიოდის განვითარების პერსპექტივაში.

თითოეული წლის ანგარიში, ძირითადად, მიემართება წინა წლის შეფასებას. (მაგალითად, 2020 წლის ანგარიშში ასახულია 2019 წლის მდგომარეობა).

ევროკომისიის მიერ მომზადებული შეფასების ანგარიშები საქართველოს შესახებ:

| | |
|--|---|
| 2008 წლის 3 აპრილი | https://aei.pitt.edu/38887/1/SEC_(2008)_393.pdf |
| 2009 წლის 23 აპრილი | http://aei.pitt.edu/38901/ |
| 2010 წლის 12 მაისი | http://aei.pitt.edu/39595/ |
| 2011 წლის 25 მაისი | https://aei.pitt.edu/39640/ |
| 2012 წლის 15 მაისი | http://aei.pitt.edu/39649/ |
| 2013 წლის 20 მარტი | https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52013SC0090 |
| 2014 წლის 27 მარტი | https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52014SC0072 |
| 2015 წლის 25 მარტი | https://eeas.europa.eu/archives/docs/enp/pdf/2015/georgia-enp-report-2015_en.pdf |
| 2016 წლის 25 ნოემბერი | https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/1_en_jswd_georgia.pdf |
| 2017 წლის 9 ნოემბერი | https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/association_implementation_report_on_georgia.pdf |
| 2019 წლის 30 იანვარი | https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/2019_association_implementation_report_georgia_en.pdf |
| 2020 წლის 6 თებერვალი | https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/1_en_document_travail_service_conjoint_part1_v4.pdf |
| 2021 წლის 5 თებერვალი | https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/2021_association_implementation_report_in_georgia.pdf |
| 2022 წლის 17 ივნისი (პოტენციური კანდიდატობა საქართველოს და 12 რეკომენდაცია) | https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2022-06/Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf |
| 2023 წლის 8 ნოემბერი (კანდიდატობა საქართველოს, 9 რეკომენდაცია და 33 თავი), | https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf |

ევროკომისიის გარდა, ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებიც დროდადრო აქვეყნებენ საკუთარ ხედვას/შეფასებას სხვადასხვა ქვეყნის პროგრესის შესახებ (მაგალითად, ევროპარლამენტი, აუდიტორთა სასამართლო), თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, ევროპული საბჭო, მნიშვნელოვნად ეყრდნობა ევროკომისიის შეფასების დოკუმენტს.

ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა (VLAP) საქართველოს გადაეცა 2013 წლის 25 თებერვალს, რომლის ნარმატებით შესრულება შენგენის სივრცეში უვიზო რეჟიმის მოპოვების შესაძლებლობას ქმნიდა საქართველოსთვის. ამ გეგმის შესრულების პერიოდში საქართველო შეფასდა ოთხჯერ. **იხ. საქართველოს, მოლდოვას, უკრაინის შეფასებები VLAP-ის შესრულებასთან დაკავშირებით:** https://home-affairs.ec.europa.eu/policies/international-affairs/collaboration-countries/visa-liberalisation-moldova-ukraine-and-georgia_en

8. ზოგიერთი სწორი ტერმინი ევროკავშირის შესახებ სწავლებისას

ევროკავშირის სამართალსა და პოლიტიკას ასახავს და გადმოსცემს უამრავი ტერმინი, რომელთა განმარტებები, ერთგვარად, თავმოყრილია ევროკავშირის სპეციალურ გვერდზე: <https://eur-lex.europa.eu/summary/glossary.html>

აქ, წარმოდგენილია, ზოგიერთი ტერმინის განმარტება ქართულად.

Acquis (acquis communautaire) – ევროკავშირის „აკი კომუნიტარე“ არის ნაკრები უფლებებისა და მოვალეობებისა, რომელიც ქმნის ევროკავშირის სამართლის სხეულს და რომელიც ინკორპორირებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში. იგი მოიცავს ევროკავშირის ბაზისური ხელშეკრულებების პრინციპებს, ნორმებს, ევროკავშირის მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტებს, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო გადაწყვეტილებებს, ევროკავშირის მიერ მიღებულ რეზოლუციებსა და სხვა აქტებს, ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის, მართლმსაჯულებისა და საშინაო საკითხების სფეროში გამოყენებად ზომებს, ევროკავშირის მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ევროკავშირის ქმედებებთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებს. ტერმინმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა 1993 წლიდან, რამეთუ ამ პერიოდიდან იწყება ევროკავშირის დიდი გაფართოების ისტორია (პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მიმართულებით). ევროკავშირში განეკუთვნება სურვილის მქონე ქვეყნების ვალდებულება იყო (არის) ევროკავშირის **acquis communautaire**-თან დაახლოება.

ევროპელი/ევროპული – ტერმინი „ევროპელი“ შეიძლება უნიკალურად ჩაითვალოს. დღეს „ევროპელი“ თუ „ევროპული“ ხშირად გამოიყენება ევროკავშირის მოქალაქეობის კონტექსტში. ასე რომ, ევროპა აღარ არის მხოლოდ გეოგრაფია, ევროპა იდეაცაა. ევროკავშირი არც კონტინენტი და არც ტრადიციული ერი სა-

ხელმწიფო. სინამდვილეში, ის აღარ არის არც მხოლოდ ეკონომიკური ალიანსი. იგი ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული სახელმწიფოების კავშირია და ეს ფასეულობები პოლიტიკური, კულტურული და სამართლებრივი ხასიათისაა.

ჰარმონიზაცია/სამართლებრივი ჰარმონიზაცია (legal harmonization). სამართლებრივი ჰარმონიზაცია ევროკავშირის სამართლის ფორმირების ერთ-ერთი მეთოდია. ევროკავშირის წევრი ქვეყნები ერთობლივად არიან ჩართულნი ევროკავშირის სამართლის (EU LAW) განხილვის, მიღების პროცესში. **ურთიერთდაახლოების** ამ მრავალმხრივ პროცესს ეწოდება ჰარმონიზაცია. ეს ტერმინი ევროკავშირისთვის აქტუალურია 1951 წლის დამფუძნებელი ხელშეკრულების დღიდან დღემდე.

აპროქსიმაცია/სამართლებრივი აპროქსიმაცია (legal approximation). სამართლებრივი აპროქსიმაცია ევროკავშირის სამართალში 1957 წლის რომის ხელშეკრულებიდან დღემდე მნიშვნელოვანი ტერმინია. იგი ნიშნავს ევროკავშირის სამართალთან დაახლოებას. **პროცესი ცალმხრივია.** აქ არ აქვს ადგილი ურთიერთდაახლოებას, არამედ, ითვალისწინებს ევროკავშირის უკვე მიღებულ კანონებთან ქვეყნის დაახლოებას. საქართველო ამ ეტაპზე არ არის ჩართული ევროკავშირის კანონთა მიღების პროცესში, რამეთუ არ არის ევროკავშირის წევრი. ამდენად, **საქართველო ჩართულია აპროქსიმაციის პროცესში – იგი ცალმხრივად უახლოვდება ევროკავშირის სამართალს.**

(ჰარმონიზაცია, აპროქსიმაცია, აპროქსიმაციის სახეები, აპროქსიმაციის ეტაპები, აპროქსიმაციის მეთოდი – ამ ასპექტებზე დეტალურად იხ.:

- ქარდავა ე., ევროკავშირი, ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი აპროქსიმაცია, 2023;
- ქარდავა ე., სამართლებრივი დაახლოება – სახელმძღვანელო პრინციპები, საჯარო მოხელის სამაგიდო წიგნი, საქართველოს პარლამენტი, ასოციაცია „ევროპის დროით“, FES, 2017.)

ევროპული პერსპექტივა (European Perspective). ვინრო გაგებით,

ევროპული პერსპექტივა ნიშნავს ქვეყნისთვის **ევროკავშირში განევრების პერსპექტივას**. საქართველოს ასეთი პერსპექტივა პირველად მიანიჭეს 2022 წლის ივნისში ევროპული საბჭოს გადამწყვეტილებით, რასაც წინ უძღოდა საქართველოს მხრიდან ევროკავშირისადმი ოფიციალური მიმართვა განევრების სურვილის თაობაზე 2022 წლის 3 მარტს.

https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/european-perspective-georgia_en?s=221

ევროპული ინტეგრაცია (European Integration). ეს ტერმინი გამოიყენება მხოლოდ იმ ქვეყნების მიმართ, რომლებსაც საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად აღიარებული და ოფიციალურად გაცხადებული აქვთ ევროკავშირთან პოლიტიკური დაახლოება, ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირება, ევროკავშირში განევრება. ტერმინი მიემართება მხოლოდ **ევროკავშირთან დაახლოებას** და არა სხვა ევროპულ ორგანიზაციებთან დაახლოებას.

ევროპოლი (Europol). ევროპოლი არის ევროკავშირის სააგენტო სამართლის აღსრულების თანამშრომლობის სფეროში (European Union Agency for Law Enforcement Cooperation). მას ევროკავშირის პოლიციასაც უწოდებენ. ევროპოლის მისიაა დაეხმაროს ევროკავშირის ქვეყნებს საერთაშორისო დანაშაულისა და ტერიტორიის პრევენციასა და მასთან ბრძოლაში. სათავე ოფისი არის ჰააგაში.

EACEA (European Education and Culture Executive Agency). „ექეა“ ეს არის ევროპული განათლებისა და კულტურის აღსრულების სააგენტო. იგი მართავს ევროკავშირის საპროგრამო ფონდების უმრავლესობას და მჭიდრო ურთიერთობაშია ევროკომისიის შემდეგ დეპარტამენტებთან:

- შემოქმედებითი ევროპა *Creative Europe*
- ერასმუს+ *Erasmus+*
- ევროპული სოლიდარობის კორპუსი *European Solidarity Corps*
- მოქალაქეები, თანასწორობა, უფლებები და ღირებულებები *Citizens, Equality, Rights and Values*

ჰორიზონტი ევროპა (Horizon Europe). ჰორიზონტი ევროპა არის ევროკავშირის მე-9 მრავალწლიური ჩარჩო პროგრამა კვლევისა და ინოვაციებისთვის, რომელიც მოქმედებს 2021 წლიდან 2027 წლამდე. მისი წინამორბედი იყო Horizon 2020, მე-8 ჩარჩო პროგრამა, რომელიც მოქმედებდა 2014 წლიდან 2020 წლამდე. ჰორიზონტი ევროპა შედგება შემდეგი მიმართულებებისგან:

- სვეტი I: ნამყვანი მეცნიერება/Excellent Science
- სვეტი II: გლობალური გამოწვევები და ევროპული ინდუსტრიული კონკურენტუნარიანობა;
- სვეტი III: ინოვაციური ევროპა;
- „გაფართოებული მონაწილეობა და „ერა“-ს გაძლიერება“.

ჰორიზონტი ევროპა-ს ბიუჯეტი 95.5 მილიარდი ევრო. საქართველო ჩართულია ამ პროგრამაში.

იხ. https://research-and-innovation.ec.europa.eu/funding/funding-opportunities/funding-programmes-and-open-calls/horizon-europe_en

ერა (ERA). ეს არის ევროპული კვლევების სივრცე (European Research Area). ერა-ს აქვს ამბიცია შექმნას კვლევის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ერთიანი, საზღვრებს გარეშე ბაზარი ევროკავშირის მასშტაბით.

ქოსტი (COST). COST Action არის ინტერდისციპლინარული კვლევითი ქსელი, რომელიც აერთიანებს მკვლევრებსა და ნოვატორებს, რათა გამოიკვლიონ თავიანთი ოპერირებისა და არჩევანის თემა/სფერო 4 წლის განმავლობაში. COST ქმედებები, როგორც წესი, შედგება მკვლევრებისგან აკადემიური წრეებიდან, მცირე და საშუალო ბიზნესიდან, საჯარო დაწესებულებებიდან და სხვა შესაბამისი ორგანიზაციებიდან ან დაინტერესებული მხარეებიდან. იგი წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას მეცნიერთა და მკვლევართა შორის თანამშრომლობისა და გაცნობისთვის. ღიაა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ყველა სფეროსთვის. <https://www.cost.eu/>

TAIEX და Twinning. ტაიექსი და ტვინინგი, ორივე არის ინსტიტუციური აღმშენებლობის ინსტრუმენტები, რომელსაც მართავს

ევროკომისიის გენერალური დირექტორატი ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების შესახებ მოლაპარაკებებისთვის (DG NEAR). TAIEX შექმნილია იმისთვის, რომ უზრუნველყოს მოკლევადიანი მხარდაჭერა და დახმარება საჯარო სამსახურებისთვის. **Twinning (დაძმობილება)** არის ინსტიტუციური თანამშრომლობის გრძელვადიანი საშუალება, რომლის დროსაც ევროკავშირის ქვეყნების საჯარო ადმინისტრაციები თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ პარტნიორი ან ბენეფიციარი ქვეყნების საჯარო ადმინისტრაციებს.

ტრიო (Trio). ტრიო ნიშნავს ევროკავშირის 3 (სამი) წევრი ქვეყნის მიერ წინასწარ შექმნილ ჯგუფს, რომელიც თავმჯდომარეობს და მართავს ევროკავშირის საბჭოს (გარდა საგარეო საქმეთა კონფიგურაციისა) 18 თვის განმავლობაში. ტრიოს თითოეული წევრი თავმჯდომარეობს საბჭოს ყველა კონფიგურაციას 6 თვის განმავლობაში, გარდა საგარეო საქმეთა კონფიგურაციისა. თითოეული ქვეყნის თავმჯდომარეობა იწყება 1 იანვარს და 1 ივლისს. ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა თავმჯდომარეობს საბჭოს რიგითობით. (მიმდინარე ტრიო: 2023 წლის 1 ივლისი – ესპანეთი, 2024 წლის 1 იანვარი – ბელგია, 2024 წლის 1 ივლისი – უნგრეთი; შემდეგი ტრიო: 2025 წლის 1 იანვარი – პოლონეთი, 2025 წლის 1 ივლისი – დანია, 2026 წლის 1 იანვარი – კვიპროსი).

სამიტი (Summit). ევროპული საბჭოს შეხვედრებს ეწოდება სამიტი. ევროპული საბჭო არის ევროკავშირის მმართველი ქოლგა ორგანო, სადაც იკრიბებიან ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურები (ის, ვინც ეროვნულ დონეზე აღმასრულებელ ხელისუფლებას განაგებს). სამიტი იმართება, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ. რამდენადაც ევროპული საბჭო სტრატეგიული ორგანოა და ყველაზე მაღალი შეკრების ადგილია, სადაც წევრი ქვეყნების მეთაურთა კონსენსუსის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილებები, სამიტზე განიხილება ევროკავშირისთვის ფუნდამენტური, ყველაზე მნიშვნელოვანი, პრიორიტეტული, გრძელვადიანი საკითხები, მათ შორის, ევროკავშირის გაფართოების/ევროკავშირში განევრების საკითხი.

დიჯი (DG – Directorates-General). გენერალური დირექტორატი (DG) ევროკომისიის სტრუქტურული ერთეულია. ისინი პასუხისმგებელი არიან სხვადასხვა სფეროს პოლიტიკის ფორმირებაზე. რამდენადაც ევროკომისია არის ევროკავშირის აღმასრულებელი ხელისუფლება/მთავრობა, მის ფარგლებში წყდება სამართლის აღსრულების, საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავების, ბიუჯეტის ხარჯვის, პროგრამების განსაზღვრის საკითხები. თითოეული დიჯი, თავის სფეროში მოქმედებს ევროკომისიის მანდატით. მაგალითად: DG Employment, Social Affairs and Inclusion, DG Budget, DG Competition, DG Energy და სხვა (ერთგვარად მოგვაგონებენ სამინისტროებს).

ევროზონა (Euro Area). ევროზონა შედგება ევროკავშირის წევრი 20 სახელმწიფოსგან, იმათგან, ვინც ევრო უკვე მიიღო როგორც ეროვნული ვალუტა (Belgium, Germany, Estonia, Ireland, Greece, Spain, France, Croatia, Italy, Cyprus, Latvia, Lithuania, Luxembourg, Malta, the Netherlands, Austria, Portugal, Slovenia, Slovakia and Finland). ევრო ასევე არის ევროკავშირის არა წევრი ქვეყნების ეროვნული ვალუტაც (Andorra, Kosovo, Monaco, Montenegro, San Marino and Vatican City). ევრო, როგორც ევროკავშირის საერთო ვალუტა, ოფიციალურად შემოღებულ იქნა 1999 წლის 1 იანვარს 11 სახელმწიფოს მიერ. **ევროკავშირში განწერიანებული ქვეყნებისთვის ევროზონასთან მიერთება სავალდებულოა (დანის გარდა),** თუმცა ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში ევრო ჯერ კიდევ არ არის ეროვნული ვალუტა (Bulgaria, Czechia, Hungary, Poland, Romania, and Sweden). ქვეყნებმა, ევროზონაში განწერიანებამდე, უნდა დააკმაყოფილონ ევროკავშირის მონეტარული პოლიტიკის მოთხოვნები და სტანდარტები. იმისთვის, რომ ევროკავშირის წევრმა ქვეყანამ ევრო გამოაცხადოს ეროვნულ ვალუტად, ამას ორმხრივი შეთანხმება სჭირდება (ევროკავშირის და წევრი ქვეყნის). დანია ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც არ აქვს ვალდებულება შეუერთდეს ევროზონას. ეს დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ დანია ევროკავშირის (ევროგაერთიანების) წევრი გახდა მანამ, სანამ ევროკავშირში ჩამოყალიბდებოდა ერთიანი ეკონომიკური და მონეტარული კავშირი (EMU).

Transposition (ტრანსპოზიცია/გადატანა) – ეს არის ევროკავშირის საკანონმდებლო აქტების, კერძოდ, **დირექტივების** ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნულ სამართალში ინკორპორირების პროცესი. წევრმა ქვეყნებმა ტრანსპოზიცია განსაზღვრულ ვადაში უნდა განახორციელონ (ეს ვადები უშუალოდ დირექტივებშია მითითებული). წევრმა ქვეყნებმა კი ევროკომისიას უნდა აცნობონ განხორციელებული ეროვნული ზომების თაობაზე. (ტრანსპოზიცია არ მიემართება ევროკავშირის ისეთ საკანონმდებლო აქტს, როგორცაა **რეგლამენტი/regulation**, რამეთუ რეგლამენტს პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს და არ საჭიროებს ეროვნულ სამართალში ინკორპორირებას).

9. ქართველი მეცნიერების ზოგიერთი ნაშრომები ევროკავშირისა და ევროპული ინტეგრაციის შესახებ

აქ წარმოდგენილია, ძირითადად, ამ სახელმძღვანელოს ავტორთა კვლევების, სწავლებისა და სამეცნიერო აქტივობების შედეგად გამოქვეყნებული ნაშრომები, რომლებიც უშუალო კავშირშია ისეთ საკითხებთან, როგორცაა საქართველოს ევროპული ინტეგრაცია, ასოცირების პროცესი, ევროკავშირის გაფართოება, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, ევროპული სწავლების გაძლიერება საქართველოში, ასოცირების შეთანხმება, DCFTA, სამართლებრივი დაახლოება (სამართლებრივი აპროქსიმაცია).

- **Kardava Ekaterine, Chelidze Guranda**, Features of EU Enlargement Policy: A Vision from Georgia, *TalTech Journal of European Studies*, Vol. 14, №1(39), pp.141-159, 2024, https://journals.scholarsportal.info/details/26744619/v14i0001/141_foeepavfg.xml <https://sciendo.com/article/10.2478/bjes-2024-0007>
- **Kardava Ekaterine, Chelidze Guranda**, Binding EU Studies in the Education Policy of Georgia, *International Journal of Multilingual Education*, №25. 2024.
- **Kardava Ekaterine**, Copenhagen+1 and Candidacy to Georgia, *Georgian-Germany Comparative Law Journal*, №1, 2024, https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-1-2024.pdf?fbclid=IwAR0AJyME9C_impivX-vMyVu7HF5ao1Lucii13VeUWZgSnHlkkv0FCzGi4rA
- **ქარდავა ეკატერინე**, ევროკავშირი, ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი აპროქსიმაცია, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023. <https://gu.edu.ge/uploads/other/14/14341.pdf>
- **Kardava Ekaterine**, New Approach towards the EU Studies in Georgia, *International Journal of Multilingual Education*, 2022, <https://www.multilinguaeducation.org/en/article/60>
- ევროკავშირის კანონთა სახე – რეგულირების პრაქტიკა

საქართველოში, სტატიათა კრებული, ავტორთა კოლექტივი, **მთავარი სამეცნიერო რედაქტორები: ქარდავა ეკატერინე, ჭელიძე გურანდა**, კავკასიის უნივერსიტეტი, 2022
<https://cu.edu.ge/files/Docs/Book%20LFEU%20Final%20for%20publicity%202022.pdf>

- **ქარდავა ეკატერინე, ჭელიძე გურანდა**, ევროკავშირის ყოველთვიური ბიულეტენი, ასოციაცია „ევროპის დროით“, FES, იხ. IPN-ზე, 2022.
- **ქარდავა ეკატერინე**, ასოციაციების შეთანხმების, როგორც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების, ადგილი ეროვნულ სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2/2021, http://lawjournal.ge/wp-content/uploads/2021/03/DGZR-2-2021.pdf?fbclid=IwAR3NyB5M37nXr__LCIUyP8bAyfReX2QxVdGu8Om6H-5bZn6I-PsX1KQKBps
- **ჭელიძე გურანდა, ქარდავა ეკატერინე, ბრავვაძე ზურაბ**, ევროკავშირის, ევროპული ფასეულობებისა და საქართველოს ევროკავშირთან ასოციაციების შეთანხმების შესახებ ცნობიერების ამაღლების საკითხი ეთნიკურ უმცირესობებითა და დევნილებით დასახლებულ რეგიონებში – კავკასიის უნივერსიტეტის ჟან მონეს პროექტის „ევროპული სწავლების სამკუთხედის“ მაგალითზე, სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, №26, ქუთაისი, 2021, გვ. 186 – 208.
- **Chelidze Guranda, Kardava Ekaterine, Bragvadze Zurab**, Raising EU Awareness in Ethnic Minority Areas – Following the One Example of a Jean Monnet Project “Triangle Effect of European Studies at Schools” (TEESS), International Journal of Multilingual Education, №19, 2021, <https://multilingualeducation.openjournals.ge/index.php/ijml/issue/view/810>
- **ჭელიძე გურანდა, ქარდავა ეკატერინე, ბრავვაძე ზურაბ**, ასოციაციების პროცესი საქართველოში, კავკასიის უნივერსიტეტი, 2020, <https://cu.edu.ge/files/gallery/Grant%20Projects/2020/brosu- ra-geo-Bolo.pdf>,

- **Kardava Ekaterine**, Create New Job Opportunities at the Local and Regional Level, Georgia's Implementation of 20 Eastern Partnership Deliverables for 2020, GIP, 2020 , pp.36-40, <http://gip.ge/georgias-implementation-of-20-eastern-partnership-deliverables-for-2020/>
- **ქარდავა ეკატერინე**, ასოცირების შეთანხმება – სპეციფიკური ნიშან-თვისებების მქონე განსაკუთრებული საერთაშორისო ხელშეკრულება, სერგო ჯორბენაძის საიუბილეო გამოცემა – სერგო ჯორბენაძე 90, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 168-203. 2019.
- **ქარდავა ეკატერინე**, DCFTA-ის მნიშვნელობა ევროპასთან ასოცირების პროცესში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე, №12, გვ.31-39. 2017.

HOW TO TEACH

European Union



ISBN: 978-9941-9888-8-2



9 789941 988882